საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 26-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შედმეგი რედაქციით:
,,დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულებებს;“;

ბ) „დ^{2}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „ტ^{6}” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „ყ^{1}” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

2. 28^{2} მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

1. 2025 წლის პირველი სექტემბრიდან, ლიკვიდირებულ იქნეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

2. საქართველოს მთავრობამ, ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე შესაბამისი უწყებების განსაზღვრა და მათთვის შესაბამისი უფლებამოისლებების გადაცემა.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ლიკვიდაცია და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, 2025 წლის პირველ სექტემბრამდე.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის პირველი სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**